განკარგულება:**გ-17. 1722329001**
თარიღი:**25/11/2022**

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტის (ქუჩა) სახელდების მოწონების შესახებ

საკრებულო აღნიშნავს, რომ დაბა ბაკურიანში კობა წაქაძის ქუჩის მიმდებარედ მცხოვრები მოქალაქეების მიერ დაფუძნებული ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის „სახლი ტყეში“ თავმჯდომარის განცხადების და მერის წარმომადგენელის 07.10.2022 წლის N24-1622280103 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება, დაბა ბაკურიანში კობა წაქაძის ქუჩის მიმდებარედ მდებარე გეოგრაფიული ობიექტისთვის (ქუჩა) სახელის მინიჭების თაობაზე. „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების მე-4 მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებების განსახორციელებლად, შესაბამის დოკუმენტებთან ერთად განაცხადი რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მისამართების რეესტრის ელექტრონულ გვერდზე.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა.ე“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების მე-5 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე

1. ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო თანახმაა, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების მე-5 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული 20 წლიანი ვადის გასვლამდე, გამონაკლისის სახით განხილული იქნას დაბა ბაკურიანში კობა წაქაძის ქუჩის მიმდებარედ მდებარე უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდება.

2. განკარგულების პირველი პუნქტის გათვალისწინებით მოწონებულ იქნეს დაბა ბაკურიანში კობა წაქაძის ქუჩის მიმდებარედ მდებარე ტერიტორიისთვის მოქალაქეების ინიციატივა **„ზაზა ლორია“-ს** სახელობის ქუჩის მინიჭების შესახებ.

3. განკარგულების პირველი პუნქტის გათვალისწინებით მოწონებულ იქნეს დაბა ბაკურიანში კობა წაქაძის ქუჩის მიმდებარედ მდებარე ტერიტორიისთვის საკრებულოს კულტურის განათლების სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივა **„ზაზა ლორიას I ჩიხი“-ს** სახელობის ქუჩის მინიჭების

შესახებ.

4. განკარგულება გადაეგზავნოს საქართველოს რეგიონულ განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს „გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სამთავრობო კომისიას“.

5. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქუჩა N62).

დავით ზაალიშვილი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი